



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 48 2022 წლის 14 თებერვალი ქ. თბილისი

სააპელაციო საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ირაკლი ბურდული – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;

ბორის ლეჟავა – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გივი გაგნიძე – სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი“ პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;

თამარა თორია – ა(ა)იპ – საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ანა საბახტარიშვილი – ა(ა)იპ – ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი – საბჭოს მდივანი;

არჩილ სუმბაძე – ა(ა)იპ – საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

გიორგი ტრაპაძე – სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

კახაბერ ფარცვანია – შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ ფრანგული ენის მასწავლებელი;

აკაკი ხელაძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით.

2. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 18 მარტიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი

